

ინფორმაცია 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო
სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

- კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ საათში 5 წთ ოდენობით ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის ერთად.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოიყოფა იგივე მოცულობის უფასო სარეკლამო დრო, რაც განისაზღვრება კვალიფიციური სუბიექტებისთვის.

3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

- წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველ კვირეულად განთავსდება მაუწყებლის ვებ გვერდზე www.1tv.ge

4) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ გაუშვას სუბიექტის მიერ მოწოდებული საარჩევნო რგოლი.
- საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს გენერალური დირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის სახელზე ოფიციალური წერილი, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. 68.
- სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით და ყოველ მომდევნო დღეს განთავსდება როტაციის პრინციპით.
- სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე sales@gpb.ge უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს. რგოლის ჩანაცვლების ან მედია განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე sales@gpb.ge, ხოლო სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს
- კვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 30 წმ, არაკვალიფიციური სუბიექტის შემთხვევაში 30 წმ. სხვა ქრონომეტრაჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოუყენებელი საეთრო დრო არ ანაზღაურდება შეკრებითობის პრინციპით.

5) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

ვიდეო რგოლი:

- სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რიგითობის ნომერი, შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX
- სარეკლამო რგოლი უნდა იყოს:
SD-სტანდარტული გარჩევადობის რეზოლუციით DV.avi ფორმატში 25 მბ/წმ (mbps) ფაილის სახით DVD დისკზე, აუდიო- **48 kHz mono- 2 ბილიკზე**

რადიო რგოლი:

აუდიო ფაილი უნდა იყოს: wav ან MP3 ფორმატში **48 kHz Stereo ან Mono**

საკონტაქტო პირი :

მედია- მენეჯერი თინათინ მიქელაძე 577 10 7740 sales@gpb.ge